„ქართული გენია როკვით განფენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან №9 (55), ივნისი-ივლისი 2015 წელი

ქორეოლოგია — ქორეოგრაფია — საზოგადოება

ქორეოკულტურის ბედი ტექნიკიზმის ეპოქაში
გვ.3

НАРОДНЫЙ ХОРЕОГРАФИЧЕСКИЙ КОЛЛЕКТИВ «ОФЕЛИЯ»
გვ. 7

„LITTLE AMBERS” – FOLK, DANCE GROUP FROM POLAND
გვ.8

ანსამბლი «ჯავახკი»
გვ. 8

მისალმება

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი გულითადად მიესალმება საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალ „კავკასია-2015"-ის მონაწილეებს.

კავშირის გამგეობა და ადმინისტრაცია უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ შორეული და ახლო ქვეყნების საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივები. მათ გვერდით თავიანთ შემოქმედებით მიღწევებს წარმოაჩენენ ადგილობრივი ანსამბლები.

დარწმუნებულნი ვართ, ფესტივალი ჭეშმარიტი ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაივლის, იგი გაამდიდრებს მონაწილე კოლექტივების რეპერტუარს, გააფართოებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს და ახალ იმპულსს შესძენს მომავალ ურთიერთობებს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

მოზარდთა და ახალგაზრდული ხალხური შემოქმედების XXI საერთაშორისო ფესტივალის „ჩემი ლამაზი ქვეყანა-ქობულეთი 2015" და „ფოკლორის (ქორეოგრაფიის) ბავშვთა და ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის კავკასია-2015" მონაწილეებსა და სტუმრებს:

გვჯერა, ეს ფესტივალი სიყვარულისა და იმედის დიდი ზეიმი იქნება, ბევრი ახალგაზრდისათვის დამოუკიდებელი შემოქმედებითი გზის ნათელი საწყისი. ორი საერთაშორისო ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა-ქობულეთი 2015" და „კავკასია-2015", რომელიც ერთობლივად ტარდება – ის ნაბიჯია, რამაც უნდა ააღორძინოს ქართული კულტურა, ჩვენი ლამაზი ქვეყნის ყველა კუთხის მომავალი თაობა და, რაც მთავარია, უნდა მოხვდეს სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების, ხელოვანების და კულტურის მოღვაწეების დამეგობრება, შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლა.

ხელოვნებას არ აქვს საზღვარი, ეს არ არის უბრალო სიტყვები, დრომ მოიტანა, რომ ასეთი დღესასწაულები საჭიროა ჩვენი ცხოვრებისათვის. მოზარდთა შორის ურთიერთმეგობრობა, ხელოვნებისადმი სიყვარული, ეს ის ფესვებია, რომელიც დაეხმარება მომავალ თაობას, გახდეს კეთილი და სულიერად მდიდარი.

დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირს ურთიერთთანამშრომლობისათვის, რათა მაღალ დონეზე წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყანა, ქართული ხელოვნება, ქართული ცეკვა და გაუწიოს პოპულარიზაცია სტუმრების კულტურას ჩვენს ქვეყანაში.

Всем участникам международного фестиваля “Кавказ 2015“ “моя красивая страна-кобулети 2015” желаю творческих успехов и этот културный мост, который связивает нашу молодеж, чтовы веками взаимнодевствавали дружили, мы не хотим войны, хотим больше любви и дружби.

ვუსურვებ საქართველოს, მსოფლიოს ყველა ბავშვსა და მოზარდს ლამაზ მომავალს, მშვიდობიან ცხოვრებას, შემოქმედებით წარმატებას.

კეთილი გზა-ფესტივალს

В добрый путь, фестиваль!

სვეტლანა ჩოჩუა,
საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე

ფოლკლორის (ქორეოგრაფიული) საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია-2015"

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ფესტივალის ორგანიზატორი: საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

მხარდამჭერი ორგანიზაციები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ვეტერან ქორეოგრაფთა საქველმოქმედო ფონდი, საქართველოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გაზეთი „საქართველოს ქორეოგრაფია", კავშირი „დევნილები მშვიდობისათვის".

ჩატარების დრო და ადგილი: საქართველო – ქ. ფოთი, ქ. ზუგდიდი (ანაკლია), ქ. ოზურგეთი, ურეკი, ქ. ქობულეთი და ქ. ბათუმი (2015 წლის 1-10 ივლისი).

მიზანი:

საბავშვო და ახალგაზრდული ფოლკლორის განვითარება; მსოფლიო ფოლკლორული კულტურის გაცნობა, მონაწილეთა შორის გამოცდილების გაზიარება, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის გრძნობის გაძლიერება, შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავება, ქართული და მსოფლიოს ხალხთა ცეკვების პოპულარიზაცია, ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ფოლკლორული ხელოვნების თავისებურებათა შესახებ თეორიული მოხსენებების მოსმენა, ურთიერთგაცნობისა და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების მიზნით.

ფესტივალის მონაწილეები:

ფესტივალში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონების საბავშვო და ახალგაზრდული კოლექტივები, რომლის მონაწილე მოზარდთა ასაკი მერყეობს 6-დან 25 წლამდე. მონაწილეებს საფესტივალო დღეებში სპეციალური გრაფიკის მიხედვით შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სცენას და გაიარონ მცირე რეპეტიცია.

ჩატარების პირობები:

მონაწილეები წარსდგებიან კონცერტზე ორი ნომრით. მუსიკალური გაფორმება დასაშვებია როგორც ცოცხალი შესრულებით, ასევე ფონოგრამით. ფესტივალის მონაწილენი განაცხადთან ერთად წარმოადგენენ პროგრამას (აუდიო, ვიდეო, სარეკლამო ნიმუშებს, საგაზეთო და ბუკლეტისათვის საჭირო მასალებს), ფესტივალის მონაწილენი დაჯილდოვდებიან ლაურეატის დიპლომითა და მედლებით, ასევე ფასიანი საჩუქრებით.

ფესტივალის დაფინანსება:

ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად და საპრიზო ფონდის შესაქმნელად (თვითდაფინანსების პრინციპით) ყველა უცხოელი მონაწილე კოლექტივი განაცხადთან ერთად თითოეულ მონაწილეზე იხდის 192.00 ევროს (სასტუმროს მომსახურება, 3-ჯერადი კვება, საფესტივალო.);

განაცხადების მიღების ვადა: 25/06/2015 წ. განაცხადის წარდგენასთან ერთად ფესტივალში მონაწილე კოლექტივი ახდენს გადასახდელი თანხის 50% წინასწარ გადმორიცხვას. დარჩენილი თანხა დაიფარება არუგვიანეს ფესტივალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

ჩვენი რეკვიზიტი:

ლარი: საქართველის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ს.კ.№201950601 საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი NGE14BG0000000125345801 ბანკის კოდი BAGAGE22

В Долларах США: Intermediary Bank: Citibank N.A.,New York, USA; CITIUS33

Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29 a Gagarin street, Tbilisi 1060, Georgia

Beneficiary: CREATIVE UNION OF THE CHOREOGRAPHERS OF GEORGIA s.k. N201950601 Account: GE14-BG0000000125345801

В Евро: Intermediary Bank: Commerzbank, Frankfurt, Germany; SWIFT: COBADEFF

Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29 a Gagarin street, Tbilisi 1060, Georgia

Beneficiary: CREATIVE UNION OF THE CHOREOGRAPHERS OF GEORGIA s.k. N201950601 Account: GE14-BG0000000125345801

მისამართი: თბილისი, ც. დადიანის ქ. №26

ტელეფონი/ფაქსი: **+995323548 41**

E-mail:choreographers_union@yahoo.com; choreographers_union@mail.ru;

www.qor.ge.

Facebook-**საქართველოსქორეოგრაფია** (Choreography of Georgia)

ქორეოკულტურის ბედი ტექნიციზმის ეჭოქაში

სამეცნიერო აზროვნებაში კარგა ხანია აქტუალურად განიხილება ტექნიკური და ესთეტიკური პრობლემების უმწვავესი დაპირისპირების პრობლემა. თავისი ნამდვილი სახით და სიღრმისეული განხილვის დონეზე ეს პრობლემატიკა, არსებითად, კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთმიმართების ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტის ფორმით წარმოჩინდება.

პრობლემის სიმწვავე იმაშია, რომ თანამედროვე ყოფის დონეზე, ვერც ცივილიზაციის მიღწევებზე და მისგან მომდინარე ტექნოლოგიებზე ვიტყვით უარს და ვერც კულტურულ ფასეულობებს შეველევით, რადგან ეს იქნებოდა კაცობრიობის სულიერი გაღარიბება-გადაგვარების ნიშანი.

თავის საფუძველში კულტურა და ცივილიზაცია ერთმანეთს არ გამორიცხავს. ორივე წინსვლაა, პროგრესია, თუმცა ისინი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ.

კულტურა უანგარო სიკეთეა, იგი დადებითი მუხტის მატარებელია და ადამიანის ყველაზე საუკეთესო მისწრაფებების გამომხატველია. ცივილიზაცია, ადამიანის, როგორც ბუნებრივი არსების მოთხოვნილებების, რაც შეიძლება კომფორტულ დაკმაყოფილებაზეა დამიზნებული. მოხმარების საგნების სიუხვე, საბინაო-საცხოვრებელი სივრცის კომფორტი, განუსაზღვრელად მრავალფეროვანი საკვებისადმი მისწრაფება, გადაადგილების საშუალებათა ურიცხვი ჩამონათვალი და სხვა მათი მსგავსი საგან-მოვლენების შექმნა, ბუნებასთან დაპირისპირებას, მისი სიმდიდრის გამოყენებას, გარდაქმნა-დამორჩილების აუცილებლობას აყენებს. არც ერთ ამ მოვლენაზე და საგანზე თანამედროვე ადამიანს უარის თქმა არ შეუძლია. სულ რაღაც 3-4 საუკუნის წინ, განსაკუთრებით აღორძინების შემდგომი პერიოდის მოაზროვნეთა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ „ცოდნა ძალაა“ და ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობას, ნაირნაირი მანქანების გამოგონებას, კოსმოსის ათვისებას, წიაღისეულის უშურველ გამოყენებას მოჰყვებოდა საყოველთაო ბედნიერება, აღარ იქნებოდა ომები, მწუხარება და სხვა ადამიანური პრობლემები. ყველას ყველაფერი თავზე საყრელად ექნებოდა და ეყოფოდა კიდევაც. ვერც როჯერ ბეკონი, ალბერტ დიდი და მათი მიმდევრები ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ტექნიციზმის კულტს, ათასნაირ მანქანებს, ღილაკებს, დღეს უკვე მობილურ კავშირებს და ამ ტიპის სხვა, მართლაც საოცარ მიღწევებს ადამიანის სულიერი ყოფის დეგრადაცია მოჰყვებოდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ტექნიკურ მიღწევებს ბევრი სხვა ისეთი თვისება აღმოაჩნდა, რომელზედაც საწყის ეტაპზე არავის უფიქრია. მაგალითად, მანქანური ინდუსტრიის შემქმნელებს და ამ სფეროში მოღვაწე გამომგონებლებს სრულიად გულწრფელად სჯეროდათ, რომ კარგი ავტომობილის შექმნით ადამიანს საქმეზე დროულ მისვლა-მოსვლაში დაეხმარებოდნენ. ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ გავიდა სულ მცირე დრო და იგივე ავტომობილებმა სამუდამოდ მოწამლეს საცხოვრებელი გარემო. პრობლემური გახდა დროულად მისვლა-მოსვლის საკითხიც. დიდ ქალაქებში დღეს იმდენი ავტომანქანა დადის, რომ საჭირო და აუცილებელ საქმეზე ფეხით მისვლას უფრო ადრე ვახერხებთ. ეს დღეს, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ ხვალ რა იქნება?

თავის დროზე ატომური ენერგეტიკის სათავეში მყოფი მკვლევარები გახარებულნი იყვნენ იმით, რომ დაიმორჩილეს ჯაჭვური რეაქცია, შექმნეს რეაქტორები, იარაღი და სხვა მრავალი რამ. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ამ მიგნებებით მთელი ადამიანური მოდგმის ბედ-იღბალი ერთი ღილაკის ამოქმედებაზე გახდა დამოკიდებული.

წარმოქმნილმა სიტუაციამ სპეციალისტთა შორის განსხვავებული მიდგომები წარმოშვა. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალი, უბრალოდ არ არსებობს, რადგან ტექნიკურ პროგრესს სადღეისოდ ვეღარავინ გააჩერებს, ხოლო ეს უკანასკნელი კულტურასა და ხელოვნებას უბრალოდ ვეღარ იგუებს.

ბუნებრივია დაისმის კითხვა – სად არის გამოსავალი? ცნობილი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი ფიქრობდა, რომ კაცობრიობის წარმოშობასთან ერთად მისი მოსპობაც იმთავითვე განსაზღვრული იყო. როდის და როგორ მოხდება ეს, ცხადია, არავინ იცის, მაგრამ პროცესი რაკი დაწყებულია, იგი აუცილებლად მივა ლოგიკურ დასასრულამდე. ბუნება იმდენად ძლიერია ადამიანზე, რომ იგი არ აპატიებს ამ უკანასკნელს გონებრივ ჩხირკედელაობას და კვლავ აიღებს ხელში შემოქმედებით პრივილეგიას.

აქვე შეიძლებოდა ნათქვამის დასტურად გაგვეხსენებინა მარტო 2014-15 წლებში დედამიწის სხვადასხვა წერტილში მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმები, რომელსაც არნახული ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კრიზისული ფაზა დაუდგა ადამიანსა და მის მოდგმას, რასაც ბუნებრივად მოჰყვა კულტურის საყოველთაო კრიზისი. სხვაგვარად ალბათ ვერც მოხდებოდა, რადგან კულტურას მხოლოდ ადამიანი ქმნის.

ახლა ისევე ზემოთ დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ – არის კი გამოსავალი? როგორ საოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გამოსავალი, თუნდაც თვისებრივად, სხვა დონეზე ისევ ადამიანშია, რადგან იგი მიუხედავად ყველაფრისა, მაინც რჩება გონით, მაძიებელ და შემქმნელ-გარდამქმნელ არსებად. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მოდა და დიზაინი მთელი თავისი მრავალფეროვნებით. როგორც კი თანამედროვე ადამიანი მიხვდა ცვლილებების არსს, გააცნობიერა საფრთხეები და გაისიგრძეგანა, რომ მოხვედრილია სერიულ საგნობრივ გარემოში, იმ წუთიდანვე დაიწყო საგნობრივი სამყაროს ესთეტიკური მოწესრიგება. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ კულტურის სასიცოცხლო ძალების მობილიზება ამით ვერ დასრულდება და არც უნდა დასრულდეს. კულტურისა და ხელოვნების კრიზისი დამთავრდება მაშინ, როდესაც იგი დაიბრუნებს მაყურებელს, შემფასებელს, მკითხველს, ე.წ. „აუდიტორიას“. ყველაფერი რაც ზემოთ უკვე ითქვა, აუცილებლად უნდა შევაპირისპიროთ, ჩვენთვის საინტერესო სფეროს – ეროვნულ ქორეოკულტურულ მემკვიდრეობას.

თანამედროვე აზროვნებაში კულტურის, მათ შორის ხელოვნების კრიზისული მდგომარეობის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებად მიჩნეულია ტრადიციებზე უარის თქმა, გამოსახვის მანამდე სრულიად უცნობი, ამასთან მეტისმეტად ორიგინალური საშუალებების თვითმიზნური ძიება, შეჩვეული ესთეტიკური ღირებულებების გადაფასება და ა.შ. ერთის შეხედვით საგანგაშო ამ მოვლენაში თითქოსდა არც არაფერია, რადგან ყოველგვარი ისტორია, მათ შორის თვით ხელოვნების ისტორიაც, ვერასოდეს შედგება თუ ძველი ფორმა ახლით არ განახლდა, არ მოხდა მოვლენის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი გარდაქმნა. სინამდვილის ყველა სფეროში მოქმედი განვითარების უნივერსალური კანონი მოვლენათა ტრანსფორმაციის უცილობლობას აპირობებს. გეორგ ზიბელის აზრით ცხოვრებისეული ძალები ხან ნელა, ხან კიდევ ძალიან ჩქარ ტემპში ანგრევენ უკვე განხორციელებულ კულტურის მოვლენებს. იქ, სადაც, ეს უკანასკნელი, თავისი განვითარების ბოლოს საფეხურზე ადის, მაშინვე იწყება მომდევნო ეტაპის ფორმირება.

ქართული საცეკვაო ხელოვნება თავისი ისტორიითა და თანამედროვე მდგომარეობით ერთ-ერთი გამორჩეულია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მიერ შექმნილ ანალოგიურ მემკვიდრეობაში. როდესაც ასეთ მაღალი ჟღერადობის განცხადებას ვაკეთებთ, ჩვენ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, გვაქვს ეროვნული ქორეოკულტურული მემკვიდრეობა და ყველა ის ცეკვა, რომელიც XIX საუკუნის ჩათვლით მხოლოდ ყოფით გარემოში არსებობდა, XX საუკუნისათვის, განსაკუთრებით პირველი მესამედის შემდეგ, ორგანიზებულ საკონცერტო სცენაზე გადაინაცვლა. გავიდა დრო და აღებულმა ტემპმა სულ უფრო დიდი მასშტაბი შეიძინა, გადავიდა სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაში და მასობრიობის საოცარ დონეს მიაღწია.

აღნიშნული ეტაპიდან არსებული კანონზომიერების ფარგლებში რაოდენობრიობამ ნელ-ნელა თვისებრიობაში გადასვლა დაიწყო, თუმცა თავი იჩინა პრობლემებმაც. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ღარიბი და უფერულია საბავშვო რეპერტუარი, ცოტაა ბავშვებთან პედაგოგიური მუშაობის ნიუანსების მცოდნე ქორეოგრაფი, ეკონომიკური პრობლემების მომძლავრების ჟამს კი საზოგადოება მძაფრად რეაგირებს თვითდაფინანსების წესით მომუშავე ანსამბლის პრობლემებზე; გაძნელებულია საცეკვაო ატრიბუტიკის (ტანთჩაცმულობა, აღჭურვილობა, მუსიკალური უზრუნველყოფა...) და სხვა მსგავსი საკითხების მოგვარება და ა.შ.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ამ მხრივ სახელმწიფო-აკადემიური და მუნიციპალური ანსამბლების სამუშაო რეალობა, თუმცა საცეკვაო ხელოვნების განვითარების საერთო, გლობალური ტენდენციები აქაც იჩენს თავს და მათი მოგვარება საერთო ძალისხმევას მოითხოვს.

ამ უკანასკნელის ძირითადი მიმართულება კი ისევ და ისევ ადამიანური პრობლემების მოგვარება, კრიზისული თვითგანცდის მოხსნა და კულტურული პერსპექტივის შენარჩუნება უნდა იყოს.

ოლეგ ალავიძე

პრესრელიზი
„ბრავო, ომარ!“

ომარ მხეიძის თხოვნითა და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გადაწყვეტილებით, ასევე ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან შეთანხმებით, ომარ მხეიძის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გადატანილია 2015 წლის ოქტომბრის თვეში.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის პრესსამსახური

ტელეფონი: 0322 354841

ფესტივალი „კავკასია-2015-ის “ სამუშაო გეგმა

I. 29.06- 01.07	10.00-დან • 18.00	• ფესტივალის მონაწილე კოლექტივების მიღება-დაბინავება; **უცხოური ანსამბლები (4 ქვეყანა)** • **მონაწილეთა შეხვედრა და გაცნობა /პრეზენტაცია/.**
IV. 2 ივლისი: ქ.ფოთი	• 16.00 • 17.00 • 20.00	• დელეგაციების ხელმძღვანელთა მიღება თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიაში; • ფესტივალის გახსნა ქ. ფოთი. აღლუმის გამართვა; • საფესტივალო კონცერტი; • საზეიმო ფოიერვერკი.
V. 3 ივლისი ქ. ოზურგეთი	• 11.00 • 12.00 • 13.00 • 18.00	• დელეგაციების ხელმძღვანელეთა მიღება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში; • ექსკურსია; • წიგნის პრეზენტაცია; • კონცერტი ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ანსამბლ „გურიისა“ და სტუმარი ანსამბლების ერთობლივი კონცერტი.
VI. 4 ივლისი ქ. ზუგდიდი	• 15.00 • 18.00	• ექსკურსია; • კონცერტი
VII. 5 ივლისი ქ. ბათუმი	• 10.00 • 14-00 • 15.00 • 18-00	• ექსკურსია; • დელეგაციების ხელმძღვანელთა მიღება ა.რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში; • ქ. ბათუმში აღლუმი და საფესტივალო ფლეშ-მობი; • კონცერტი- ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში
VII. 6 ივლისი ქ. ქობულეთი	11.00 17.00	• დელეგაციათა ხელმძღვანელების მიღება ქობულეთის მუნიციპალიტეტში; • ექსკურსია; • საფესტივალო კონცერტი ქობულეთის კულტურისა და და დასვენების პარკში.
VIII. 7 ივლისი ურეკი	11.00-15.00 18.00	• სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია; მასტერკლასი. • სენაკი- საზეიმო კონცერტი
IX. 8 ივლისი ლანჩხუთი		• დელეგაციათა ხელმძღვანელების მიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში; • ექსკურსია; • წიგნის პრეზენტაცია; • გალა კონცერტი და დაჯილდოვება ლანჩხუთის კულტურის ცენტრში.
X. 9 ივლისი		• თავისუფალი დღე - ექსკურსიები. ფესტივალის დახურვა, ფოიერვერკი, დისკოტეკა, ბანკეტი.
XI.10 ივლისი		ფესტივალის მონაწილეთა გამგზავრება

ფესტივალის პროგრამით, საკუთრივ პრაქტიკულ — საკონცერტო გამოსვლების პარალელურად, ქორეოგრაფთათვის გაიმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ვორქ-შოფები და მასტერკლასები. აღნიშნულ ღონისძიებებს წარუძღვებიან გამოჩენილი თეორეტიკოს-ქორეოლოგები და სათანადო გამოცდილების მქონე პრაქტიკოს-ქორეოგრაფები.

თურქეთში მოქმედი მესხების ფოლკლორული ანსამბლი ,,აჰისკალი“ შედგება 17 მონაწილისაგან. დაარსების დღიდან მას ხელმძღვანელობს ალიხან უმაროვი.

ანსამბლმა 2014 წ. მოსაწვევი მიიღო შავიზღვისპირეთის ფესტივალის ორგანიზატორებისაგან ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლს სახელმწიფო სტრუქტურებისგან მხარდაჭერა არ გააჩნია (სარეპეტიციო დარბაზი, დაფინანსება...), ამიტომ იგი იძულებული შეიქნა ქ. ბურსის გარეუბან უგრამში გადასულიყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით ალიხან უმაროვმა მიმართა თურქი მესხების უფლებათა დაცვის ცენტრის პრეზიდენტს ალიხან ფაშას და ხელისუფლების წინაშე დააყენეს რიგი პრობლემური საკითხები. ბატონ ალიხანს გვერდში დაუდგნენ ახალგაზრდები და ერთობლივი ძალისხმევით გადალახეს ბიუროკრატიული წინააღმდეგობები, რის შემდეგაც 17-კაციანმა ფოლკჯგუფმა DATÜB-ისგან მიიღო მორალური მხარდაჭერა და საქართველოში გაემგზავრა. საზღვარზე ნებართვის მიღების შემდეგ ანსამბლი ჩაერთო საფესტივალო ცხოვრებაში. ,,აჰისკალმა“ გამართა რიგი კონცერტები ბათუმში და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

დოლებისა და ფლეიტის თანხლებით წარმოდგენილმა ცეკვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. ანსამბლის მონაწილეებს ღონისძიების დასასრულს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ანსამბლის ხელმძღვანელი ალიხან უმაროვი აცხადებს, რომ იღებს და მიიღებს მონაწილეობას ყველა კულტურულ ღონისძიებაში მსოფლიოს მასშტაბით, თუკი სახელმწიფოსგან მხარდაჭერას მიიღებს.

Детский хореографический танцевальный ансамбль Одлар-юрду существует больше 15 лет при Детской школы искусств № 6 им. Фикрета Амирова, Минстерство Культуры и Туризма Азербайджанской Республики. Заведующий хореографического отдела, Художественный руководитель хореограф Магомед Гулиев в прошлом солист Государственного Заслуженного ансамбля песни и танца Азербайджана. В основном репертуаре азербайджанские танцы, а также танцы народов мира . Ансамбль принимает участие во многих государственных мероприятиях и конкурсах Азербайджанской Республики. 2008 году ансамбль награжденом дипломантом Республиканского конкурса . Одлар - юрду участвовал международных фестивалях во многих городах Турции - Анкаре 2006, Измире - 2007, Истанбул - 2008, Маниса - 2009, Коджаели 2010 - 2015 годах. А также участвовал 2008 - 2010 году Туркменистане в Международным фестивале Золотое поколение золотого века и 2014 году Аваза край дружбы. Был награжденом президентским дипломами и грамотами Туркменистана.

საბავშვო ქორეოგრაფიული ფესტივალის „კავკასია-2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტი:

ლაუზი (რეზო) ჯანიშვილი – კავშირის თავმჯდომარე

ოლეგ ალავიძე –კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იური ტორაძე – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

ზაურ ლაზიშვილი – კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

მურმან გამისონია – პასუხისმგებელი მდივანი–ფინანსური მენეჯერი



კახაბერ მარკოიშვილი – საორგანიზაციო საქმისახურის უფროსი მენეჯერი თბ. საქ. ორგანიზაციის თავმჯდომარე

გელა ჯანიშვილი – ოფის–მენეჯერი

მანანა უშიკიშვილი – გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ რედაქტორის მოადგილე

ზაზა მკავანაძე – თავმჯდომარის თანაშემწე

მანანა ზერიძე – აპარატის ხელმძღვანელი

გოჩა გრძელიშვილი–საორგანიზაციო საქმისახურის მენეჯერი



ნატო მახათაძე – კავშირის პიარ–მენეჯერი



მამუკა გამისონია – მენეჯერი

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლები

ვოკალური ანსამბლი „მელოდია“

ანსამბლი „მელოდია“ შეიქმნა 2012 წელს და დაარსებიდან დღემდე აქტიურად არის ჩაბმული რაიონის შემოქმედებით ღონისძიებებში. არის მრავალი საბავშვო ფესტივალის ლაურეატი. მისი ხელმძღვანელი გახლავთ **მედეა გეგეჭკორი.**

ანსამბლი 2014 წელს აქტიურად იყო ჩართული პროექტში „შემოქმედებითი ურთიერთობები რეგიონებს შორის“, სადაც თავისი გამოსვლებით ქ. თელავში, ხონსა და ქობულეთში, წარმატებით გაართვა თავი ნაკისრ ვალდებულებებს.

ანსამბლი ყოველ წელს მართავს სოლო კონცერტებს.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“

ანსამბლი „როკვა“ შეიქმნა 2006 წელს. დაარსების დღიდან მისი უცვლელი ხელმძღვანელია კულტურის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქორეოგრაფი **ნინო ჩიხიაშვილი**. ქალბატონი ნინო აქტიურად არის ჩაბმული რაიონის შემოქმედებით ღონისძიებებში და მრავალი ფესტივალის ლაურეატი გახლავთ. ანსამბლს აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი და ყოველი წლის ბოლოს სოლო კონცერტებს მართავს.

სახალხო ანსამბლი „ყვარელი“

ანსამბლი „ყვარელი“ შეიქმნა 1995 წელს. დაარსების დღიდან მისი ქორეოგრაფი გახლავთ ღირსების ორდენის კავალერი **სოსო ფუტკარაძე**.

ანსამბლი „ყვარელი“ უამრავ ფესტივალში მონაწილეობდა. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის 30 მოცეკვავე.

მიღებულ საპატიო ჯილდოთაგან კი ყველაზე მეტად ეამაყებათ სახალხო ანსამბლის წოდება.

ფოლკლორული ანსამბლი „ყვარლის ხმები“

ფოლკლორული ანსამბლი „ყვარლის ხმები“ სულ ახლახანს, 2015 წლის 15 თებერვალს დაარსდა. ანსამბლი ჯერჯერობით 15 შემსრულებელს ითვლის, ხელმძღვანელი კი **თამარ ელოშვილი** გახლავთ.

2015 წლის 20 აპრილს „ყვარლის ხმები“ მიწვეული იქნა თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ დედაქალაქ ანკარაში, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც, მასპინძელი მხარის დიდი მოწონება და დიპლომი დაიმსახურა.

ზემოთ აღნიშნული ანსამბლისთვის წარმატებული გამოდგა ყვარელში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობაც.

თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ბალანსე“

ანსამბლი „ბალანსე“ შეიქმნა 2009 წლის 8 მარტს, სადაც მოზარდები ეუფლებიან თანამედროვე და მსოფლიო ხალხთა ცეკვებს, ასევე ბოლო დროს დამკვიდრებულ ცეკვის ახალ მიმდინარეობას ჰიპ-ჰოპს.

ანსამბლ „ბალანსესა“ და მის წევრებს უამრავ ფესტივალსა და კონცერტში აქვთ მონაწილეობა მიღებული და მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელებიც არიან.

ყველაფერი ეს კი მათი ხელმძღვანელის **თათია ხიზანიშვილის** დამსახურება გახლავთ. ანსამბლი ჯერჯერობით არსებობის 7 წელს ითვლის.

ХАРАКТЕРИСТИКА НАРОДНЫЙ ХОРЕОГРАФИЧЕСКИЙ КОЛЛЕКТИВ «ОФЕЛИЯ»

Народный хореографический коллектив «Офелия» – был основан в 1990 году в городе Каменске-Шахтинском Ростовской области.

В настоящее время коллектив насчитывает более двухсот человек в возрасте от 4 до 25 лет.

В коллективе активно развивается направление народные танцы.

13 декабря 2003 года хореографическому коллективу Офелия было присвоено звание «Народный».

Коллектив является многократным победителем областных и международных конкурсов, только в 2014 году:

город Анапа международный конкурс «Луна-Топ-Денс»- лауреаты первой степени.

город Ростов-на-Дону областной конкурс «Южный ветер»- гран-при

город Батайск международный конкурс «Нциональное достояние»- два гран-при Победители международных танцевальных конкурсов в Македонии и Латвии.

Постоянно совершенствуя свое мастерство и повышая свой уровень, НХК «Офелия» ставит перед собой новые задачи: выйти на мировой уровень.

Характеристика руководителя Народного Хореографического Коллектива «Офелия».

Виктория Соболева- руководит коллективом с 1990 года. Судья первой категории по сценическим танцам. Удостоена грамоты Министерства Культуры России в 2012 году за заслуги в области культуры. Сценические постановки Соболевой, уже не один год завоевывают Гран-при на областных и международных конкурсах.

Театр моды и танца «Имидж Д, арт» был создан в марте1998 года и является неоднократным победителем областных региональных всероссийских а также международных конкурсов(респ. Польша, респ. Греция) и фестивалей по направлениям: хореография, театр моды а так же конкурсы красоты и таланта. Своеобразная организационная структуры позволяет успешно заниматься как моделингом , так и современной хореографией (эстрада , модерн, свободная пластика , стрит направления и другое.)Бессменным руководителем коллектива является Савина Татьяна Анатольевна, тренерами постановщиками и наставниками участников коллектива являются: Дохнов Константин , Неберекутина Алина и Широбокова Екатерина.

Образцовый Народный детский хореографический ансамбль «Задоринка» при поддержке Министерства культуры России г.Москва, награждённый золотой медалью Юнеско Греции, медалью за милосердие и благотворительность фондом «Росспас».

Лауреат и дипломант Международных ,Всероссийских, фестивалей и конкурсов Греции, Грузии, Латвии, Польши, Чехии, Франции, Германии, и т.д

В 2015 году ансамбль отметил свой первый юбилей ,10 лет.

В ансамбле занимаются 200 девчонок и мальчишек, в СВАО г.Москвы В репертуаре ансамбля русские народные танцы и танцы народов мира, Большой и важной частью ансамбля является патриотическое воспитание детей и любви к своей Родине, по

средствам танца ,благотворительной деятельности коллектива.

Организатор различных ,массовых, благотворительных концертов в г.Москве, и Псковской области, концертов для ветеранов, для детей инвалидов и жителей района Лосиноостровский г.Москвы, На попечении ансамбля находится Храм Святителя Тихона Патриарха Московского Всея Руси, Православный детский сад в Псковской области д.Клин.

Художественный руководитель ансамбля

Работник культуры при Министерстве культуры г.Москвы, награждённая медалью за Меценатство в области культуры от Благотворительного фонда «Росспас».

Казанцева Дина Викторовна.

„LITTLE AMBERS" – FOLK, DANCE GROUP FROM POLAND

Peter Dunin Primary School issituated in Kashubian region on the coast of the theBaltic Sea, in the north of Poland in Kosakowo Community. It is one of the smallestcommunities in PomeranianDistrict. It issurrounded by forests and naturalsanctuaries.

For over ten years the children'sfolk dance group „Little Ambers" havebeen performing in differentfestivals. The childrenare from 7 to 13 yearsold. In twoteachers' care – Lucyna Sorn and Aleksandra Pająk – the Kashubiantraditionispassing on. For someyears the childrenhavebeenable to learn the Kashubianlanguageatschool and take part in manycompetitions.

Not only do „Little Ambers" perform on localstages but alsotheypromote the Kashubiancultureabroad. The children'sfolk dance group performer twice in Famagusta, N. Cyprusduring International Children and PeaceFestival (2009, 2010). In Italy (2011), Spain (2013), Bułgaria (2014).The children'sin terestmakesuspositivethatwhatthey do for the Kashubianculturemakessense and isimportant.

ანსამბლი «ჯავახკი»

დაახლობით 1930 წლიდან ახალქალაქში ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ფუნქციონირებს, მაგრამ ანსამბლი „ჯავახკი" 2000 წლიდან ლამარა ქსპოიანისა და სომხური ხალხური აშუღის ვალიკო ქსპოიანის ხელმძღვანელობით დაარსდა. ანსამბლის შემადგენლობაში შედის გუნდი, ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი და ქორეოგრაფიული ჯგუფი, სულ შედგება 70-80 მონაწილესაგან. ფესტივალებზე და გასვლით პროგრამებზე ძირითადად მონაწილეობს ქორეოგრაფიული ჯგუფი, სადაც არის 30-40 მონაწილე. ანსამბლი დაყოფილია სამ ჯგუფად: პატარების, საშუალო და უფროსი ასაკის ჯგუფებად. ანსამბლის რეპერტუარი შედგება სომხური, ქართული და სხვა ერების სიმღერებისა და ცეკვებისაგან. ანსამბლს თავისი არსებობის მანძილზე მონაწილეობა მიღებული აქვს საქართველოში ჩატარებულ

თითქმის ყველა ფესტივალში. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა „სანიმუშო" ანსამბლის წოდება. საქართველოს გარდა „ჯავახკს" ჩატარებული აქვს კონცერტები სომხეთში, რუსეთში უნგრეთსა და სლოვენიაში.

В далекой Сибири в городе Новосибирск в 2009 году открылась школа грузинского танца. Основателем и руководителем является Шиомгвдлишвили Гоча Шалвович. Изначально наш коллектив был маленьким, но,несмотря на это, на концертах и фестивалях мы уже принимали участие. Со временем ребят становилось все больше и больше и наших танцевальных номеров становилось больше.В 2011 году на базе школы грузинского танца создается ансамбль грузинского народного танца «Имеди». Принимая участие в различных городских и областных фестивалях уровень ансамбля становился лучше и профессиональней. Ансамбль стал занимать призовые места и неоднократно становился лауреатом городских и областных фестивалей. Также каждый год на протяжении уже 4 лет наш ансамбль организовывает и учавствует в концерте, посвященному дню «Святого Георгия Победаносца». В 2011 году наш руководитель стал членом творческого союза деятелей хореографии Грузии. В 2013 году 12 декабря ансамбль дал отчетный концерт.

Также в 2013 году «Творческий союз деятелей хореографии Грузии» пригласил наш ансамбль на Международный хореографический фестиваль «Кавказ 2013». С фестиваля ансамбль привез диплом лауреата и звание «Образцового народного хореографического ансамбля Грузии», а наш руководитель стал кавалер ордена «Амагдари» грузинской хореографии. Так же наш ансамбль принимал участие в этом фестивале и в 2014 году.

За 2014 и 2015 годы у ансамбля было очень много фестивалей и концертов, в которых мы занимали первые места и всевозможные призовые. В 2014 году 12 декабря Нашему ансамблю исполнилось 5 лет. Юбилейый концерт прошел в Доме национальных культур, где ребята показали полную концертную программу.

25 мая 2015 года наш ансамбль защитил звание уже в России (в Новосибирской области)

« Народного (образцового) ансамбля грузинского народного танца», чем мы очень гордимся.А также гордимся тем, что за пределами нашей родины мы не забываем нашу культуру и обучаем детей, рожденных в России , грузинским танцам. Новосибирский зритель нам очень благодарен и всегдас радостью ждет наших выступлений.



ქორეოგრაფიული მოძრაობის შეთვისების ძირითადი პრინციპები

ქორეოგრაფიული ხელოვნების გამომსახველი საშუალებების თავისებურებათა წვდომა და შესატყვისი მხატვრული სახის შექმნა შემსრულებლისაგან მოითხოვს არა მხოლოდ შინაგან ემოციურ განცდა-გარდასახვას, არამედ გამოხატვისათვის აუცილებელ გარეგნულ ტექნიკასაც. მოძრაობათა გარეგნული დახასიათება (დგომა, სვლები, ჟესტები) და მათი გამოსახვის საშუალებათა ძიება, მხატვრულ სახეზე მუშაობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მოცეკვავის სხეულის მდგომარეობა, მისი ყოველი პოზა, თითოეული ჟესტი უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული, მიზანმიმართული, დამაჯერებელი და ბუნებრივი. ამავდროულად იგი სრულ შესატყვისობაში უნდა მოდიოდეს მოცემულ როლთან და კონკრეტულ მიზანსცენასთან. მოცეკვავე მსახიობი, რომელიც სრულყოფილად ვერ ფლობს საკუთარი სხეულის მოძრაობას, ნაკლებდამაჯერებლად გამოიყურება და თავს გაუბედავად გრძნობს სცენაზე.

მოძრაობის შესწავლას საფუძვლად უდევს ის კანონზომიერებანი, რომლისგანაც ხდება სამოძრაო უნარ-ჩვევებისა და მასთან დაკავშირებული ცოდნის მიზანმიმართული ფორმირება; სწავლების ოპტიმალური გზების არჩევა, საშემსრულებლო და ფიზიკური ვარჯიშების ტექნიკის განმტკიცება-სრულყოფა, სწავლების ეფექტის ზრდის გარანტიას გვაძლევს.

სხეულის ფიზიკური აღზრდა ხორციელდება განსაზღვრული საშუალებებისა და ხერხების თანამიმდევრული გამოყენებით; იგი უზრუნველყოფს, როგორც ძალის, ასევე გამძლეობის, სიმსუბუქის, მოქნილობისა და სხვათა ეფექტურ განვითარებას.

საცეკვაო მოძრაობების შესწავლისა და სხეულის ფიზიკური განვითარების პროცესი, გარკვეულწილად, ემთხვევა ერთმანეთს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თვითონ მამოძრავებელი ჩვევებისა და უნარების ფორმირების პროცესი განუყოფელია ერთმანეთისაგან.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის **ანალიზი** და პრაქტიკაზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ ქორეოგრაფიულ აღზრდას, რომლის ძირითად ბირთვს ქორეოგრაფიული სწავლება წარმოადგენს, საფუძვლად უდევს პრინციპთა გარკვეული სისტემა. ამ პრინციპების მოთხოვნათა მიხედვით აგებული სწავლება უზრუნველყოფს საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწას და შესასწავლი მასალის შემოქმედებით ათვისებას.

შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი. შეგნებულობა სწავლებაში ნიშნავს მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის გააზრებულად შეთვისებას. აქტიურობა კი მოსწავლის მოქმედების აუცილებელი ფორმაა, რომლითაც შეგნებული და მტკიცე შეთვისება ხორციელდება. ამიტომაა, რომ მოსწავლეთა შეგნებულობა სწავლების პროცესში არ შეიძლება გავთიშოთ მოსწავლეთა აქტიურობისაგან და პირიქით.

ქორეოგრაფიული გაკვეთილისადმი მოსწავლეთა შეგნებული და აქტიური დამოკიდებულება არის იმის აუცილებელი პირობა, რომ მათ სწორად გაიგონ მოძრაობის არსი. მოსწავლეთა მიერ მოძრაობის აქტიურად დაინტერესებული შესრულება აჩქარებს სწავლების პროცესს და განაპირობებს შეძენილი ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოქმედებითად გამოყენებას.

პრაქტიკულ სასწავლო პროცესში გადასაცემ, ასათვისებელ მასალას წინ უძღვის ე.წ. მოსამზადებელი სავარჯიშოები, რომლებიც სასცენო ტრიუკზე გადასვლამდე მოითხოვენ ტექნიკურ დამუშავებას. პრაქტიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამგვარი სავარჯიშოსამუშაოებისადმი მოსწავლეები ხშირად დიდ დაინტერესებას არ იჩენენ, აქ თავის როლს თამაშობს მოსაწყენი ერთგვაროვნების ფაქტორი. გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გამო აღსაზრდელებს ურჩევნიათ პირდაპირ გადავიდნენ უფრო რთულ ილეთებსა და ილეთთა ნაერთებზე. პედაგოგს აქ დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა უხდება, რათა დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ საჭიროა გარკვეული დრო, მოთმინება, თანამიმდევრულობა, რათა უკეთესი შედეგები მივიღოთ, ამასთანავე თავიდან ავიცილოთ ტრავმატიზმის შემთხვევები. ამგვარი მუშაობის შემდგომ, მოსწავლეებს უჩნდებათ შეგნებული მიმართება ცალკეული შრომატევადი სავარჯიშოების მიმართ, რაც მათი საჭიროებისა და აუცილებლობის განცდას წარმოშობს.

მოძრაობის შეგნებული და აქტიური დაუფლება ხელს უწყობს ტრავმებისაგან მოსწავლეთა დაცვას, ამა თუ იმ ელემენტის შესრულებისას. ამ შემთხვევაში, განსაზღვრული მოძრაობის შესრულებისას, მოსწავლეები კარნახობენ ერთმანეთს მოცემული სავარჯიშოელემენტის საშემსრულებლო ტექნიკას, რის შედეგადაც მოსწავლისაგან ანალიზდება მისეული შესრულებული მოძრაობა.

ცოდნის შეგნებულად ათვისების პრინციპი განპირობებულია თვით სწავლების პროცესის კანონზომიერებით, რომელიც მოითხოვს სასწავლო მასალის შემოქმედებითად გააზრებას.

თვალსაჩინოების პრინციპი. თვალსაჩინოებას სწავლის პროცესის საწყისი ეტაპის აუცილებელი, შემადგენელი ნაწილია. რამდენიმე ანალიზატორის (მხედველობითი, სმენითი, შეხების, მამოძრავებელი და სხვ.) საშუალებით აღსაზრდელი უფრო ზუსტად აღიქვამს სასწავლო მასალას.

მამოძრავებელი ჩვევების სრულყოფისა და ფიზიკური მონაცემების განვითარების გარეშე, რომელიც მუდმივად ეყრდნობა მკვეთრ შეგრძნებებს, შეუძლებელია თვალსაჩინო წარმოსახვა.

თვალსაჩინო აღქმაში, ცალკეულ მოძრაობათა ზუსტი სახის გადაცემის პარალელურად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის ჩვენებას „შებრუნებით“, ე.ი. როგორ არ უნდა შესრულდეს ესა თუ ის მოძრაობა. საჭიროა ერთი ჯგუფის მიერ აქტიური დაკვირვება და სათანადო ელემენტის ტექნიკური შესრულების დონის გარჩევა, როცა მეორე ჯგუფის მიერ სრულდება მოძრაობა, რაც ასევე თვალსაჩინოების პრინციპის რეალიზებას წარმოადგენს.

მოძრაობის სივრცობრივი წარმოდგენის დახასიათების გარდა ფორმირდება წარმოდგენა დროში დახასიათების (მოძრაობის ტემპი და რიტმი) შესახებ. ამისათვის გამოიყენება ბგერითი გამაღიზიანებლები (დათვლები, ტაშები, მუსიკალური გაფორმება).

მოძრაობის პრაქტიკული შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე ხშირად მიმართავენ დამატებით გარეგან ორიენტირებს. ორიენტირი შეიძლება იყოს არა მარტო გარეგანი, არამედ საკუთარი სხეულის ნაწილიც კი.

ჰაერიდან მუხლებმოკეცილი იატაკზე ვარდნის შესწავლისას, სწორად ტექნიკურად დაშვებისათვის მოძრაობის ორიენტაციის ჯგუფს შემსრულებლის მუხლები და ტერფები წარმოადგენს.

მოძრაობის შესრულების სხვადასხვა ფაზებში, პედაგოგი მოსწავლეს ეხმარება სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით და მიანიშნებს საშემსრულებლო ოსტატობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ორიენტირის ასეთი სისტემის საშუალებით მოსწავლეს საშუალება ეძლევა მართოს საკუთარი მოძრაობა.

ქორეოგრაფიულ სწავლებაში ფართოდ გამოიყენება ისეთი თვალსაჩინოება, როგორიცაა: სურათები, სლაიდები, კინოფილმები, ვიდეომასალები და სხვ.

თვალსაჩინოების უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება იყოს მხატვრული სიტყვა, რომელიც იწვევს შესატყვის მხედველობითმამოძრავებელ წარმოდგენას.

ქორეოგრაფიული სწავლების პროცესში თვალსაჩინობა გამოიყენება საჭიროებისამებრ, მოსწავლეთა საერთო მომზადების გათვალისწინებით.

სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპი. ქორეოგრაფიული აღზრდის პროცესში რაციონალური თანამიმდევრობის დასაცავად, ძირითადი პირობაა დავალება, რომელიც სიძნელის მიხედვით თანდათან მატულობს და რთულდება. სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპის დაუცველობას მივყავართ პროფესიულ ტრავმატიზმამდე.

მასწავლებლის მიერ ცოდნის სისტემატური გადაცემა მოსწავლეებს აჩვევს ლოგიკურ აზროვნებას, უადვილებს ცოდნის ათვისებას და უვითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. თუ მოსწავლეებს არ შევაჩვევთ ლოგიკურ აზროვნებას, ისინი მუდმივად მზარდი სიძნელეების წინაშე მოუმზადებელი აღმოჩნდებიან და ვერ მიაღწევენ სასურველ შედეგამდე.

ქორეოგრაფიის სწავლების პროცესში ცოდნის სისტემატურ გადაცემაში ივარაუდება სავარჯიშოების ისეთი განაწილება, სადაც ახალი დავალება ემყარება ადრე ათვისებულ მასალას. სწავლების პროცესში წინსვლა შეუძლებელია ისე თუ გაგებული და გააზრებული არ არის ყოველივე ის, რაც ახალ მასალას წინ უსწრებს და რაც მისი აუცილებელი წანამძღვარია. ყოველი დავალება უნდა ემყარებოდეს ადრე ათვისებულ მასალას და თანდათანობით უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა წარმოდგენებისა და ცნებების წრის გაფართოება-გაღრმავება. თუ ახლადშესწავლილ სავარჯიშოში არ არის წინა სავარჯიშოების ელემენტები, მაშინ საჭიროა შეირჩეს მსგავსი, შესადარისი სავარჯიშო.

ქორეოგრაფიულ სწავლებაში ცოდნის ათვისების, უნარ-ჩვევების განვითარების ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა სავარჯიშოების მრავალგზისი განმეორება იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად განმტკიცდეს ცოდნა-ჩვევები და სრულყოფილი გახდეს მათი დამახსოვრება.

შეუძლებელია მოსწავლეთა შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის განვითარება, თუ მათ არ ვავარჯიშებთ სისტემატურად და თანამიმდევრულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მათი თანდათანობითი შესუსტება და გაქრობა.

ქორეოგრაფიული აღზრდის პროცესში მამოძრავებელი უნარ-ჩვევების თანდათანობით გართულებითა და გაღრმავებით უნდა გაიზარდოს დატვირთვის მოცულობა და ინტენსიურობა, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოძრაობის ხარისხის ამაღლებასა და თვისებრივ განვითარებას.

პროფესორი **უჩა დვალიშვილი**

ქართული ქორეოგრაფიის მეგზურები

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია, მიუხედავად ამისა, სასურველი იქნებოდა, უფრო ვრცლად, სრულად იქნას ასახული და დაფასებული ვეტერან ქორეოგრაფთა, მოცეკვავეთა ნაშრომ-ნაღვაწი, მომავალში გამოსაცემ ქორეოგრაფიული ხელოვნების ამსახველ ლიტერატურაში, პრესასა და ტელევიზიაში. კარგი იქნებოდა რომელიმე ტელეკომპანია შემოიღებდეს ამ მეტად საჭირო ეროვნული დარგის ქართული ქორეოგრაფიის მხარდასაჭერ რუბრიკას ,,ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარნი“. ეს ნამდვილად საშური, საშვილიშვილო საქმე იქნებოდა.

ეს ის ადამიანები არიან, ვინც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ, ჟამთა სიავეს გადარჩენილ ქართული ქორეოგრაფიის თვითმყოფად ნიმუშებს.

საუბრობდე ქართული ქორეოგრაფიის სიძველეზე, არ შეიძლება თვალი არ გადავავლოთ ამ დარგის უშესანიშნავეს დიდოსტატთა ნაღვაწს, ნაკვალევს, ისინი ხომ ამ დიდი ხელოვნების საწყისებიდან მოდიან და ძველი ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების თვითმყოფადობაზე დაყრდნობით, ქმნიდნენ ულამაზეს ქორეოგრაფიულ კომპოზიციებს.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ამაგდართ, ამ ულამაზესი ხელოვნების სისტემაში მოყვანის, მოძიების, შექმნის, ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებელ ოსტატებად, დამდგმელ ქორეოგრაფებად ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით. ესენი არიან უდიდესი ქორეოგრაფ-პედაგოგები ალექსი ალექსიძე (სონღულაშვილი), დავით ჯავრიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ თათარაძე, ლილი გვარამაძე, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ბუხუტი (გიორგი) დარახველიძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ანტონ ჩიხლაძე, გივი ოდიკაძე, ენვერ ხაბაძე, მიხეილ ბახტაძე, დავით უშვერიძე, გივი (კოჯორაშვილი) ბუაჩიძე, რეზო ხონელიძე, გიორგი გავაშელი, შალვა იაშვილი, მიხეილ კობეშავიძე, თეიმურაზ (თოფანა) მელაძე, გიორგი სალუქვაძე, მიხეილ შუბაშუკელი, გრიგოლ ჩივაძე, რუბენ ჭოხონელიძე, სულიკო რატიანი, ვასო მამრიკაშვილი, მიხეილ რაქვიაშვილი, ელგუჯა გუმბერიძე, დუშიკო იოსელიანი, ვარლამ ბირგვაძე, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი და სხვები...

აუცილებელია ქართული ქორეოგრაფიის მეისტორიემ აღწეროს წარსული და დღევანდელ დღეს არსებული ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მიმდინარე პროცესები, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ისინი იყვნენ თავდადებულნი, თუ შეიძლება ითქვას განწირულნიც კი ქართული ქორეოგრაფიის საკეთილდღეოდ. მათ ყველაფერი შესწირეს ქართული ქორეოგრაფიის საფუძვლიან გამოკვლევებს მისი ფუნდამენტური შესწავლისათვის, შექმნეს ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები (დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაძე), მიუხედავად მაშინდელი ძნელი ყოფითი პირობებისა, შეიქმნა ქართული, ძელთან სავარჯიშო მოძრაობები, ილეთები, ილეთთა ნაერთები. ყველა საცეკვაო შინაარსს ჰქონდა თავისი დატვირთვა, თავისი სახელი და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მაშინ დაიწყო მუშაობა ამ უდიდესი შემოქმედი დიდოსტატებისა კვალითი ნახაზების შექმნაზე, ქართული ცეკვების გასცენიურებაზე, კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი დროის ქორეოგრაფიაში მოღვაწე ქორეოლოგები მოიძიებენ ამ დიდოსტატთა სრულ მონაცემებს და გამოამზეურებენ მას სრული სახით. მათ უნდა ვუმადლოდეთ დღევანდელ დღეს. არ ეგების წინაპართა ნაღვაწის დავიწყება, არ გვეპატიება. ეს მათი დამსახურებაა, ქართული ცეკვის დღევანდელი მაღალი დონე და სიმაღლე.

უდიდესი განვრცობა, გაგრძელება ჰპოვა ამ დიდმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ხელოვნებამ, ის უკვდავია და თაობიდან თაობას გადაეცემა საუკუნეების მანძილზე.

იური ტორაძე,

კავშირის თავმჯდომარის
მოადგილე, საქართველოს
ვეტერან ქორეოგრაფთა
საერთაშორისო
საქველმოქმედო ფონდის
თავმჯდომარე

10 ივნისს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მოცეკვავის, სუხიშვილების სახელოვანი სოლისტის **იამზე დოლაბერიძის** საიუბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს კულტურის ფონდი და პირადად ბატონი **დავით ოქიტაშვილი**; მასში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი და სახელმწიფო ანსამბლები.

საღამომ წარმატებით ჩაიარა, დარბაზში სითბო და კეთილგანწყობილი ატმოსფერო სუფევდა.



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი №43 16/12/ 2014 წ.

**"საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით"
დაჯილდოების შესახებ.**

ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილის, წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის **„საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით"** ჯილდოვდება:

1. **გიორგი ჭუმბურიძე** ქ.ქუთაისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „გორდას" ქორეოგრაფი;
2. **ლელა ქართველიშვილი** თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მინდიას" ქორეოგრაფი;
3. **ირაკლი სუხაშვილი** თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარულის" ქორეოგრაფი;
4. **კახა ჩიტაია** ხობის ქორეოგრაფიული ანსამბლ „კოლხას" ხელმძღვანელი.
5. **ბადრი მაჭავარიანი** თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე

კავშირის თავმჯდომარე /ლ. ჭანიშვილი/

16 ივნისს, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შენობის წინ, ფოლკლორის დარგში მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, ღვაწლმოსილ ქორეოგრაფებს **ზაურ ლაზიშვილსა** და **თემურ ბიბილეიშვილს** ვარსკვლავი გაუხსნეს.

ცერემონიალი დააგვირგვინა ბათუმის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის" კონცერტმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებისა და მოწვეული სტუმრების საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. ღონისძიების ორგანიზატორებმა, კონცერტის დაწყებამდე საზოგადოებას წარუდგინეს ერთობ საინტერესოდ მომზადებული ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის ამსახველი 23-წუთიანი კინო-ფირი, რომელიც პუბლიკამ ასევე დიდი ინტერესით მიიღო.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი **რეზო ჭანიშვილი**, საუკუნის მოცეკვავეები **ომარ მხეიძე** და **ფრიდონ სულაბერიძე**, ასევე დელეგაციის სხვა წევრები.

ღონისძიებას საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს ქორეოგრაფია
მის: თბილისი,
ც. დადიანის ქ. №26
ტელ.: 599 90 75 65
- საქართველოს ქორეოგრაფია;
www.qor.ge

სარედაქციო საბჭო:
რეზო ჭანიშვილი,
იური ტორაძე,
თენგიზ უთმელიძე,
უჩა დვალიშვილი,
ზაურ ლაზიშვილი,
მურმან გამისონია.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
ოლეგ ალავიძე
პასუხისმგებელი მდივანი:
მანანა უშიკიშვილი
თანადამფინანსებელი –
ქართული ქორეოგრაფიის
ეროვნული ცენტრი:
ზაზა მჭავანაძე